საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01 - 02/59

01 მაისი, 2019 წ. ქ. ბათუმი

,,2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ბსუ-ს ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 29 სექტემბრის N01-08/81 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, ,,2017 წლისათვის სახელმწიფოს პროგრამული დაფინანსების მოპოვების მიზნით ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების (სპეციალობებისა) და შესაბამისი ადგილების განსაზღვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის ივლისის დადგენილების, ,,2017-2018 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებსა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის N359 დადგენილების, ,,2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N135/ნ ბრძანების და ,,2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 6 სექტემბრის N88 დადგენილების, ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 29 სექტემბრის N01-08/81 ბრძანების, ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 11 აპრილის NMES 319 00422196 კორესპონდენციის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 30 აპრილის MES 8 19 00490817 წერილის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ,,2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ბსუ-ს ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების

კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 29 სექტემბრის N01-08/81 ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ბსუ-ს ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/სპეციალობებზე (შემდეგში ,,პრიორიტეტული პროგრამები") 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტების სწავლის სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების (1,035,000 ლარის ფარგლებში) მიღებისათვის ბსუ-სთვის განსაზღვრული კონტიგენტი - 460 ადგილი გადანაწილდეს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე შემდეგნაირად:

1.1. დაწყებითი განათლება - 92 ადგილი;
1.2. ეკონომიკა - 48 ადგილი;
1.3. მშენებლობა - 55 ადგილი;
1.4. აგრარული ტექნოლოგიები - 50 ადგილი;
1.5. ქართული ფილოლოგია - 100 ადგილი;
1.6. ისტორია - 65 ადგილი;
1.7. ბიოლოგია - 30 ადგილი;
1.8. ქიმია - 5 ადგილი;
1.9. ფიზიკა - 5 ადგილი;
1.10. მათემატიკა - 10 ადგილი.

2. წინამდებარე ბრძანება გაიგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

5. ბრძანება გავრცელდეს 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში